



პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების  
პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი  
საბჭოს გადაწყვეტილება  
ქ. თბილისი



MES 1 20 0000981826



13/10/2020

**„შპს „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ**

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**


1. ცვლილება განხორციელდეს „შპს „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ“ პროფესიულ მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337125 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი).
2. გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 2 ოქტომბერი.
3. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 ოქტომბრის №980989 ოქმის მეორე ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი

გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით. მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი  
პროფესიული მომზადების  
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს თავმჯდომარე  
ქუჩულორია მარიამ



სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო  
საბჭოს მდივანი  
ტალიაშვილი ნინო



პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
0000424	ღვინისა და ყურმნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	21	თბილისი, ლ. ქიაჩელის №28